“პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა აივ დადებით მსმ ქცევის მამაკაცებში”

დავით კახაბერი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისადა ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობა - ფსიქოტრავმატოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი
წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდეგამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს,რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესებისშესაბამისად.

სახელი, გვარი - დავით კახაბერი

თარიღი 25.01.2018

შინაარსი

I. შესავალი - დღევანდელი მდგომარეობა, კვლევის მიზანი და საჭიროება ---------- 9
II. აივ ინფექცია/შიდსი - სამედიცინო და სოციო-კულტურული განმარტებები ---------- 13
III. აივ ინფექცია/შიდსი და ფსიქოტრავმა ---------- 17
IV. პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა მსმ ქცევის მამაკაცებში ---------- 21
V. რეკომენდაციები და ძირითადი თემები - აივ ინფიცირებულ ჰომოსექსუალ, ბისექსუალ და მსმ ქცევის სხვა მამაკაცებთან ფსიქოთერაპიული მუშაობა ---------- 34
VI. დასკვნა ---------- 53
ბიბლიოგრაფია ---------- 55

ტერმინოლოგიური განმარტებანი

აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

შიდსი - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

არვ თერაპია - ანტირეტროვირუსული თერაპია

მსმ (men having sex with other men) – ქცევა, რომელიც გულისხმობს მამაკაცებს შორის სქესობრივ კავშირს

ჯანმო - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია

კაპოშის სარკომა - კანის ოპორტუნისტული სიმსივნური დაავადება, რომელიც წარმოდგენილია იასამნისფერი შეფერილობის წყლულებით

ოპორტუნისტული დაავადება - დაავადებათა კატეგორია, რომელიც თავს იჩენს იმუნიტეტის დაქვეითებისას

რეტროვირუსი - ვირუსების ჯგუფი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ვირიონში შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას არსებობა

რნმ - რიბონუკლეინის მჟავა

რევერსიული ტრანსკრიპტაზა - რნმ-ის შემცველი ვირუსების ფერმენტი, რომელიც ვირუსის რნმ-ის სიახლოვეს ქმნის დნმ-ს.

T-ლიმფოციტები - ადამიანური იმუნური სისტემის ნაწილი, რომელიც გამოიყოფა თიმუსიდან.

CD4 – T-ლიმფოციტის ზედაპირზე არსებული რეცეპტორები, რომლებიც იმუნური პასუხის რეგულაციაზე არიან პასუხისმგებელნი

დნმ - დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა

პოლიმერაზა - ნუკლეინის მჟავების მატრიცულ სინთეზზე პასუხისმგებელი ფერმენტი.

PCR – პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია. PCR ანალიზის მეშვეობით მილიონ სხვა მოლეკულას შორის შეიძლება მხოლოდ ერთის გამოვლენა.

ფსიქოთერაპიის კლიენტი - პიროვნება, რომელიც სარგებლობს ფსიქოთერაპიული კონსულტაციის სერვისით

DSM – V – მენტალური დარღვევების დიგნოსტიკურ-სტატისტიკური სახელმძღვანელო

ICD -10 - დაავადებათა და ჯანმრთელობის პრობლემათა საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკატორი

აბსტრაქტი:

საქართველოს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის 2017 წლის 14 დეკემბრის მონაცემებით საქართველოში აივ ინფიცირების 6727 შემთხვევაა დაფიქსირებული. აქედან 5027 მამაკაცია, 1700 კი ქალია. გარდა იმისა, რომ ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველოში აივ ინფიცირებული პირების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, ნიშანდობლივია იმ სოციალური ჯგუფების გამოყოფა, რომლებიც დიდი რისკის ქვეშ არიან. ერთ-ერთ ასეთ სოციალურ ჯგუფს წარმოადგენენ ჰომოსექსუალი, ბისექსუალი და მსმ ქცევის სხვა მამაკაცები.

აივ დადებითი პირები, სხეულებრივი ჯანმრთელობის პრობლემის გარდა, მრავალი ფსიქიკური გამოწვევის წინაშე დგანან. ეს დიაგნოზი არა მხოლოდ ფიზიკურ კონდიციას, არამედ იმ ფსიქიკურ პროცესებს უცვლის მიმართულებას, რომლებიც ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია.

აივ ინფიცირებულ პირებს საკუთარი ცხოვრების, სოციალური ურთიერთობებისა და სექსულური აქტივობის რეორგანიზება უწევთ, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს სოციალური სტიგმის შედეგებს.

გარდა იმისა, რომ მკურნალობა, რომელსაც პაციენტები ყოველდღიურად იღებენ საკმაოდ მნიშვნელოვანი გვერდითი ფსიქიკური ეფექტების მქონე მედიკამენტებისგან შედგება, თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი პირადი ინფიცირების ისტორიაც, რომელიც მკაფიო კავშირშია მათ ინდეტობასა და ღირებულებით სისტემასთან.

კვლევა სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება. ესენია სამაგიდე კვლევა, რაოდენობრივი კვლევა და ორი ფსიქოთერაპიული ქესის აღწერა. კვლევის საბოლოო მიზანს წარმოადგენს მსმ ქცევის მამაკაცებში პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის ნიშნების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა, მსმ ქცევის მამაკაცები, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა აივ დადებით მსმ ქცევის მამაკაცებში, ფსიქოტრავმა, ტრავმული ექსპოზიცია, ფსიქოლოგიური დისტრესი, აშლილობა, გამკლავება.

Abstract

According to Infectious Diseases, AIDS and Clinical Immunology Research Center of Georgia for the 14th of December 2017 in Georgia there are 6727 HIV infection cases. The majority of these cases are Men (5027 person) and women represent other 1700. According to the same organization the number of HIV infections in Georgia is increasing. The most important fact about the data is that the majority of HIV positive men are represented by Homosexual, Bisexual and other MSM (men who have sex with other men) people.

Besides the physical health problems HIV positive people are against different kinds of mental health challenges. The diagnosis of HIV/AIDS strongly influences not only the physical conditions of people but it influences mental processes too. HIV positive people have to reorganize all different aspects of their lives, social and sexual relations. This process of reorganization doubles the social stigma, which has already existed.

Besides the fact that Antiretroviral treatment consists of medication with lots of side effects all of the clients have their own personal story of infecting with HIV. These stories are what creates their identity and give us the direction to work with them.

The research consists of three parts. These are research of the literature, quantitative research and description of two cases. The main goal of the research is to identify signs of Post-Traumatic Stress Disorder in MSM people and create recommendations for the future work.

Keywords: Post-Traumatic Stress Disorder, MSM, Post-traumatic stress disorder in MSM population, psychotrauma, traumatic exposure, psychological distress, disorder, coping.

მადლობა

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში გაწეული წვლილისათვის მადლობას ვუხდი პირველ რიგში ჩემს ხელმძღვანელს პროფ. ნინო მახაშვილს, მისი მხრიდან გაწეული მხარდაჭერისა და დახმარებისთვის. ასევე, ააიპ “თანასწორობის მოძრაობის” თემის მობილიზაციის ოფიცერს აბელ უზნაძეს, რომლის დახმარებითაც მოხდა რესპონდენტთა ნაწილის გამოკითხვა. მადლობა თითოეულ რესპონდენტს, რომელმაც მიიღო მონაწილეობა კვლევაში.

თარიღი: 25.01.18